



შპს "ერთობა" ცივი საწყობების მოდერნიზაციას ახდენს

შპს "ერთობა" თბილისის ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებული საწყობებისა და ოფისების მართვას ახორციელებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ცივი შენახვის ხარისხიანი საწყობების ნაკლებობაა, კომპანიამ ცივი შენახვის ობიექტების მოდერნიზება განახორციელა. დღეის მდგომარეობით საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცივი შენახვის ობიექტების ხელმისაწვდომობას და ამათ შეუფერხებელ მუშაობას. კომპანია „ერთობა“ პროექტის განხორციელების შემდეგ მემოთ ხსენებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. „ერთობის“ მიერ ინვესტირებული თანხები ახალი, იზოლირებული კამერებისა და გაგრილების დანადგარების შექმნასა და დამონტაჟებას მოხმარდა. ინვესტიციები EU4Business-EBRD -ის საკრედიტო ხაზის მიერ გამოყოფილი სესხით განხორციელდა, რომელიც წინასწარ განსაზღვრული, სტანდარტული ტექნოლოგიებისთვის განკუთვნილი გამარტივებული LET პროცესის გავლის შემდეგ დამტკიცდა. გარდა უმაღლესი ხარისხის ცივი შენახვის ობიექტებისა, კომპანიის მიერ განხორციელებულმა პროექტმა საგრძნობლად შეამცირა ელექტრო ენერჯის მოხმარება და ოზონის შრის დამზღვევი ნივთიერებების გამოყოფა ატმოსფეროში. პროექტის გადამოწმების შემდეგ, კომპანიამ ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული გრანტის სახით სესხის თანხის 10% მიიღო.

განხორციელებული ინვესტიციები:

- ცივი საწყობები

ინვესტიციების მოცულობა:

- სესხის თანხა – 80,600 ევრო
- მიღებული გრანტი (10%) – 8,060 ევრო



თანხვედრა ევროკავშირის დირექტივებთან:

- 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) № 1005/2009 ოზონის შრის დამზღვევი ნივთიერებების შესახებ
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დირექტივა 2009/125 / EC ენერგოდაზოგვის პროდუქტებზე ეკოდიზაინის მოთხოვნების დანერგვის შესახებ
- 2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/35 / EU წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის დირექტივა – ძაბვის განსაზღვრული დიმიტების ფარგლებში მომუშავე ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობის შესახებ
- 2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/30 / EU წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის დირექტივა – ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ